საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე – კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ადვოკატი ზ. ლ., სიითი №

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 22.05.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 063/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ვ. ჩ.-ს მიმართ, სიითი №

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ვ. ჩ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორი პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2019 წლის 22 მაისს საჩივრით მომართა ადვოკატმა ზ. ლ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ვ. ჩ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, ვ. ჩ. არის მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელი სასამართლოში მიმდინარე დავებში.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით ადვოკატმა ვ. ჩ.-მ 2019 წლის 16 აპრილს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში სამოქალაქო საქმეზე N2/X-18 გამართულ სხდომაზე შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართა მას და უწოდა „უსირცხვილო ადამიანი“.

1.4 ზ. ლ.-ს განმარტებით, ადვოკატ ვ. ჩ.-ს მიერ მის მიმართ წარმოთქმულმა სიტყვებმა შელახა მისი ღირსება, რის გამოც მიიჩნევს, რომ მან დაარღვია კოლეგიალობის პრინციპის დაცვის ვალდებულება.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2019 წლის 12 ივნისსა და 18 ივნისს ადვოკატმა ვ. ჩ.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება. ასევე ადვოკატმა მონაწილეობა მიიღო საპროცესო და განხილვის კოლეგიის სხდომებში. ადვოკატის განმარტებით ზ. ლ.-ს საჩივარი არის უსაფუძვლო და ის არ უნდა დაკმაყოფილდეს.

2.2 ადვოკატ ვ. ჩ.-ს განმარტებით მას ადვოკატ ზ. ლ.-სათვის არ უწოდებია „უსირცხვილო ადამიანი". ბოლნისის რაიონული სასამართლოს სხდომაზე ადვოკატმა ზ. ლ.-მ მას უწოდა „უსირცხვილო ყაჩაღი", რის შემდეგაც ადვოკატმა სიბრაზის ნიადაგზე უწოდა მხოლოდ „უსირცხვილო". მოსამართლემ კი ორივე ადვოკატის მიმართა გამოსცა განკარგულება მათი დაჯარიმების შესახებ.

2.3 განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა ვ. ჩ.-მ განმარტა, რომ ადვოკატი ზ. ლ. მის მიერ შედგენილ სარჩელებსა და შესაგებლებში მას არაეთიკურად მოიხსენიებს, ხოლო მისი მხრიდან მხოლოდ ერთხელ მოხდა სიტყვა „უსირცხვილოთი" მიმართვა, რაც გამოწვეული იყო ადვოკატ ზ. ლ.-ს მხრიდან ვ. ჩ.-ს მისამართით არაერთგზის გაჟღერებული არაეთიკური ფრაზებით.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია

3.1. 2019 წლის 24 დეკემბერს, საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ვ. ჩ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2. საპროცესო კოლეგიამ მიუთითა, რომ შესაფასებელი გამონათქვამი „უსირცხვილო, უსირცხვილო ადამიანი ხარ" არ არის უხამსობა, რადგან უხეშად არ ლახავს საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს, თუმცა ის შეიცავს კოლეგის პირისპირ შეურაცხყოფას, რადგან ლახავს ადვოკატის ღირსებას, რის გამოც საპროცესო კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, ადვოკატ ვ. ჩ.-ს მიმართ დისციპლინური დევნა აღიძრა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლის საფუძველზე.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

განხილვის კოლეგისს მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტები, რომლებიც უდაოა მხარეთა შორის:

4.1. ადვოკატები ვ. ჩ. და ზ. ლ. წარმოადგენდნენ სხვადასხვა მხარის ინტერესებს 2019 წლის 16 აპრილს ბოლნისის რაიონული სასამართლოში გამართულ სხდომაზე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- *მხარეთა ახსნა-განმარტებას;*
- *ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 16 აპრილის განკარგულებას.*

4.2. სასამართლოს სხდომის მიმდინარეობისას წესრიგის დარღვევისთვის მოსამართლის განკარგულებით ადვოკატი ვ. ჩ. და ადვოკატი ზ. ლ. დაჯარიმდნენ 50 ლარით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- *მხარეთა ახსნა-განმარტებას;*
- *ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 16 აპრილის განკარგულებას.*

4.3. ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 16 აპრილის განკარგულებით, ადვოკატმა ვ. ჩ.-მ მოწინააღმდეგე მხარეს უწოდა „უსირცხვილო“, ხოლო ადვოკატმა ზ. ლ.-მ მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელს უწოდა „უსირცხვილოები“ და „ყაჩაღები“. ამავე დღეს გამართული სასამართლოს სხდომის ოქმის აუდიო ჩანაწერის მიხედვით, სასამართლო სხდომაზე ადვოკატი ზ. ლ.-ს საუბრის დროს, 14:54:33 წუთზე ადვოკატმა ვ. ჩ.-მ მას მიმართა შემდეგი სიტყვებით: „იმდენი გვერდი არ აგიდგეს, უსირცხვილო, უსირცხვილო ადამიანი ხარ მართლა“, ხოლო ადვოკატ ზ. ლ.-ს მხრიდან ამის შემდეგ მოხდა ვ. ჩ.-სათვის „უსირცხვილო ყაჩაღით“ მიმართვა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- *მხარეთა ახსნა-განმარტებას;*
- *ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 16 აპრილის განკარგულებას*

5. შემაჯამებელი დასკვნა:

განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ზ. ლ.-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1. განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ვ. ჩ.-ს მიერ დარღვეულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლი:

„ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები“.

6.2. ადვოკატი ვალდებულია პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დაიცვას კოლეგიალობის პრინციპი, რაც გულისხმობს კოლეგისადმი ღირსეულ დამოკიდებულებასა და პატივისცემას. აღნიშნული პრინციპის დაცვა ხელს უწყობს ადვოკატთა შორის თანამშრომლობასა და ადვოკატის პროფესიისადმი ნდობის მოპოვებას.

6.3. ადვოკატები უნდა ზრუნავდნენ კონფლიქტური მდგომარეობის განმუხტვისაკენ და აუცილებლად უნდა სცენ პატივი ურთიერთპროფესიულ ღირსებას“ (ეთიკის კომისიის 25/05/2016 წლის გადაწყვეტილება, საქმე №094/14).

6.4. „კოლეგიალობის პრინციპი უპირობოდ გულისხმობს კოლეგების ღირსებისა და პროფესიული ღირებულებების დაცვას, რაც ადვოკატს ავალდებულებს კორექტული გამონათქვამებით შემოიფარგლოს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. ადვოკატი ვალდებულია პატივისცემა გამოხატოს კოლეგებისადმი, მიუხედავად მათი სამართლებრივად ან სხვაგვარად 8 საწინააღმდეგო მოსაზრების არსებობისა. კოლეგიალობის პრინციპი ვერ ჩაითვლება მხოლოდ ფორმალურ ქცევათა შესრულების მოთხოვნად, იგი უდავოდ გულისხმობს ქცევის შინაარსობრივ მხარესაც, რაც აუცილებელია კოლეგებთან ურთიერთობის დროს“ (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 15/04/2016 წლის გადაწყვეტილება, საქმე №1ბ/სპ-07-16).

6.5. ადვოკატები სხვა მოქალაქეების მსგავსად სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით, რომელიც არ არის აბსოლუტური უფლება და შეიძლება შეიზღუდოს, ხელისუფლებისა და მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლები 19.3, 24.4). ეთიკის კომისიის განმარტებით, ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა შესაძლებელია იმ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, რომელიც ემსახურება ადვოკატის როლის განმტკიცებას, ადვოკატის პროფესიის დაცვასა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის გაღრმავებას.

6.6. განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატ ვ. ჩ.-ს მიერ ადვოკატ ზ. ლ.-ს მიმართ წარმოთქმული ფრაზა - „უსირცხვილო, უსირცხვილო ადამიანი ხარ“ არის აზრის კონტექსტში გადმოცემული და არ ახდენს ფაქტობრივი გარემოებების დემონტრირებას, რადგან არ მიუთითებს ფაქტის დონეზე მტკიცებას დაქვემდებარებულ რომელიმე გარემოებაზე. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის 4.1 მუხლის საფუძველზე აზრი დაცულია აბსოლიტური პრივილეგიით, თუმცა აბსოლიტური პრივილეგია არ გულისხმობს აბსოლიტურ უფლებას და ის შეიძლება შეიზღუდოს, როდესაც აზრი გადმოცემულია უხამსი ფორმით ან/და შეიცავს პირისპირ შეურაცყოფას (მუხ. 9.1.). სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის 1(ვ) მუხლით „უხამსობა არის განცხადება, რომელსაც არა აქვს პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან სამეცნიერო ღირებულება და რომელიც უხეშად ლახავს საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს“. მოცემულ შემთხვევაში, სადავო ფრაზებს არ გააჩნიათ ამ მუხლით გათვალისწინებული რომელიმე დატვირთვა, შესაბამისად ასეთ ფრაზებს საჩივრის ავტორი აღიქვამს პირად შეურაცხყოფად.

6.7. განხილვის კოლეგია იზიარებს საჩივრის ავტორის დამოკიდებულებას სადავო ფრაზის მიმართ, ვინაიდან ადვოკატ ვ. ჩ.-ს მიერ გადმოცემულ აზრი შესაძლებელია ყოფილიყო სხვა შინაარსით და არა ადვოკატ ზ. ლ.-ს მიმართ გამოთქმული ფრაზით. ადვოკატის მიერ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების მიზანს უნდა წარმოადგენდეს ეთიკური ვალდებულებათა დაცვის ფარგლებში კლიენტის ინტერესების საუკეთესოდ წარმოჩენა. „უსირცხვილო ადამიანით“ მიმართვა არ გამომდინარეობს პროფესიული ვალდებულების შესრულებიდან და ამგვარი გამონათქვამები არ არის იმ მიზნის პროპორციული, რასაც კლიენტის ინტერესების

შესაბამისად მოქმედება ჰქვია. ამასთანავე, ეს ფრაზა სცდება აზრის თავისუფლების ფარგლებს და ზიანის მომტანია არამარტო ამ სიტყვების ადრესატისთვის, არამედ, ასევე ადვოკატის პროფესიისათვის.

6.8. ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომისთვის პროპორციული დისციპლინური ღონისძიების შერჩევისას, განხილვის კოლეგია ითვალისწინებს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სახეს, სიმძიმეს, პროფესიისათვის მიყენებული ზიანს, ადვოკატის საქმიან რეპუტაციას, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომებს, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულებას ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმას და სხვა გარემოებებს, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად.

6.9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ საქმეზე დს–შ/13–15 განმარტა, რომ „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი – კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება.“

6.10. ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა იქნება ადვოკატის მიერ განხორციელებული ეთიკური ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი, იმ გარემოების გათვალისწინებითაც, რომ არ არსებობს გაუქარწყლებელი დისციპლინური სახდელი ადვოკატ ვ. ჩ.-ს წინააღმდეგ და ეს მის წინააღმდეგ საჩივრით მიმართვის პირველი შემთხვევაა. ამასთანავე, განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ ვ. ჩ.-ს მიმართ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა უზრუნველყოფს ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას, როგორიცაა: მომავალში, კოლეგა ადვოკატის პატივისცემის დაცვა და კოლეგიალობის ვალდებულების განმტკიცება.

6.11. განხილვის კოლეგია ასევე განმარტავს, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა მხოლოდ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს და არა პასუხისმგებლობის ან სახდელის სახეს. კერძო სარეკომენდაციო ბარათი თავისი შინაარსით შეიცავს, მხოლოდ რჩევებს და რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ, რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თავიდან აცილების მიზნით. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი ხელმისაწვდომია მხოლოდ ადვოკატისთვის.

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 33-ე, 35–ე მუხლით და 38–ე მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N063/19 ადვოკატ ვ. ჩ.-ს მიმართ /სიითი N/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.
4. დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება

გადაწყვეტილებას ერთვის ეთიკის კომისიის წევრის ცისმარი ონიანის განსხვავებული მოსაზრება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/

II დისციპლინური კოლეგიის წევრის, ცისმარი ონიანის
განსხვავებული აზრი

ეთიკის კომისიის №063/19 გადაწყვეტილებაზე,

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

გამოვხატავ პატივისცემას ჩემი კოლეგების მიმართ, თუმცა არ ვეთანხმები ადვოკატ ვ. .-ს მიმართ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრებას. შესაბამისად, ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის შესაბამისად, გამოვთქვამ განსხვავებულ აზრს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისის 2020 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე, საქმეზე №063/19.

მიმაჩნია, რომ საჩივრის ავტორის მიერ გამოთქმული პრეტენზია ადვოკატ ვ. ჩ.-ს მხრიდან სასამართლო სხდომაზე დაფიქსირებული ფრაზებზე - „უსირცხვილო, უსირცხვილო ადამიანი ხარ", არ შეიძლება განვიხილოთ დისციპლინურ გადაცდომად, ვინაიდან აღნიშნული ფრაზა დაცულია გამოხატვის თავისუფლების უფლებით, რითაც ადვოკატები სხვა მოქალაქეების მსგავსად სარგებლობენ. ამასთანავე, „გამოხატვის თავისუფლების საკითხი დაკავშირებულია იურისტის პროფესიის დამოუკიდებლობასთან, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია მართლმსაჯულების სამართლიანად აღსრულების ეფექტური პროცესისათვის" (იხ. CASE OF SIALKOWSKA v. POLAND, N8932/05, §111, 22.03.2007).

სადავო ფრაზის შეფასების დროს პირველ რიგში უნდა გავითვალისწინოთ გარემოებები და ზოგადი კონტექსტი, რომლის პირობებშიც გაკეთდა აღნიშნული განცხადება, ხოლო ამის შემდეგ უნდა შეფასდეს მოცემული წინადადების შინაარსობრივი მხარე. როგორც ადვოკატმა ვ. ჩ.-მ აღნიშნა, ადვოკატ ზ. ლ.-ს მხრიდან მისი მისამართით არაერთგზის იყო გაჟღერებული შეურაცხმყოფელი ფრაზები, რის გამოც მან დააფიქსირა საკუთარი დამოკიდებულება ადვოკატ ზ. ლ.-ს მიმართ. ამასთანავე, სასამართლოში სხდომა მიმდინარეობდა დაძაბულ გარემოში, რა დროსაც მოსამართლემ საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე დაადგინა წესრიგის დამრღვევ პირთა პასუხისმგებლობის წესი და შესაბამისი სანქცია შეუფარდა, როგორც ადვოკატ ვ. ჩ.ს, ასევე ადვოკატ ზ. ლ.-ს (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 211-ე და 212-ე მუხლები). შესაბამისად, გარემოებები და ზოგადი კონტექსტი შეიძლება აიხსნას, არა მარტო სასამართლო სხდომაზე ადვოკატებს შორის დაპირისპირებით, ასევე ამ საქმის ისტორიით და მხარეთა შორის მუდმივი დაძაბულობით. რაც შეეხება შინაარსობრივ მხარეს, მართალია, სასამართლოს განსჯადი საკითხია წინადადებათა შინაარსის შეფასება პირის პატივისა და ღირსების შელახვის კონტექსტში, თუმცა ეთიკის კომისიის ვალდებულებაა შეაფასოს წარმოთქმულ სიტყვათა ეთიკის ნორმებთან შესაბამისობა, რომლის განხილვა შეუძლებელია „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების

შესახებ“ საქართველოს კანონის გარეშე. ამ კანონის 4.1 მუხლის მიხედვით აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით, რაც გულისხმობს იმას, რომ შესაძლებელია მისი შეზღუდვაც, თუმცა მაშინ როდესაც აზრი გადმოცემული უხამსი ან/და ძალადობრივი ენით. მოცემულ შემთხვევაში, ფრაზა „უსირცხვილო“ არ არის უხამსი, და ასევე არ არის ძალადობრივი ენით გადმოცემული. მოცემული სიტყვა განმარტებული აქვს სულხანს-საბა ორბელიანს „სიტყვის კონაში“, სადაც მითითებულია, რომ „ურცხვი“, „უსირცხვილო“ ნიშნავს მოურიდებელს. აღნიშნული სიტყვა მიემართება იმ პირს, რომელიც საუბრობს ცრუ ფაქტებზე, ხოლო ამ სიტყვის წარმომთქმელი აფიქსირებს საკუთარი მოსაზრებას გაჟღერებულ ფაქტებზე და მის ავტორზე. მოცემულ შემთხვევაშიც, სადავო ფრაზით ხდება პირის სუბიექტური დამოკიდებულების დაფიქსირება, რის გამოც არ უნდა მოხდება მოცემული პირის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატ ვ. ჩ.-ს მიერ წარმოთქმული ფრაზა უნდა გადაწყდეს აზრის სტატუსის მინიჭებით, რომელიც არ შეიძლება განვიხილოთ ისეთ საზიანო თავდასხმად, რასაც შეუძლია გამოიწვიოს მისი ადრესატისთვის პატივის, ღირსებისა თუ რეპუტაციის შელახვა. მიმაჩნია, რომ ადვოკატ ვ. ჩ.-ს მიერ არ დარღვეულა კოლეგიალობის პრინციპი.

ცისმარი ონიანი

ეთიკის კომისიის წევრი